

დიფერენცირებული მიდგომა, როგორც შემეცნებითი უნარის განვითარების საშუალება  
მუსიკის გაკვეთილებზე

DOI: 10.52340/erp.2024.05.28

**აბსტრაქტი**

თანამედროვე სტანდარტები ფართოდაა მიმართული განათლების ჰუმანიზაციაზე და სწავლების ინდივიუალიზაციაზე, რომელიც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის რეალიზაციას. ამ მოთხოვნის შესრულების ეფექტური საშუალებაა სწავლების დიფერენცირებული მიდგომები. მსგავს მიდგომებს ხშირად ვიყენებთ პრაქტიკაში, მაგალითად, როდესაც ვგეგმავთ გაკვეთილს, ვცდილობთ ვუპასუხოთ კითხვას: როგორ გავაკეთოთ ისე, რომ მოსწავლემ უბრალოდ კი არ დაიხეპიროს ცოდნის გარკვეული რაოდენობა, არამედ ისწავლოს იმისდა მიუხედავად, როგორი საშუალებებიც და რისი პოტენციალიც აქვს მას.

მუსიკის გაკვეთილებზე სწავლების ინდივიდუალიზაცია და დიფერენცირება საშუალებას აძლევს თითოეულ მოსწავლეს, გააცნობიეროს საკუთარი თავი, ხოლო მასწავლებელმა მოიძიოს მასალის უმრავლესობისთვის გადაცემის გზები, წახალისოს მოზარდები.

დიფერენცირებული სწავლების უპირატესობები: ადვილად დაიძლევა სიძნელეები; კლასში არცერთი ჩამორჩენილი მოსწავლე არაა; ყველა მოსწავლე ჩართულია სამუშაოში; აქტიურად ფორმირდება პიროვნული თვისებები; იზრდება დამოუკიდებლობა, შრომისმოყვარეობა, თავდაჯერებულობა, შემოქმედებითობა, მოტივაცია, შემეცნებითი ინტერესი; აქტიურად მიმდინარეობს მასალის შინაარსის გადამუშავება; მოსწავლეები წინასწარ ემზადებიან ამგვარი მუშაობისათვის; ექვემდებარება მონიტორინგს.

დიფერენცირებული მიდგომა სტიმულს აძლევს დაბალი შედეგის მქონე მოსწავლეებს, ეხმარება მათ ცოდნის ხარვეზებისა და შემეცნებითი შესაძლებლობების უფრო ფართოდ დანახვაში. შედეგად ისინი მუდმივად ინარჩუნებენ საგნის მიმართ ინტერესს.

**საკვანძო სიტყვები:** განათლება, მუსიკა, დიფერენცირებული მიდგომა, სასწავლო პროცესი, მეთოდები, ინდივიდუალური მიდგომა.

მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მუსიკალური განათლება. მუსიკის გაკვეთილები იძლევა შესაძლებლობას, რომ მოსწავლემ განივითაროს ესთეტიკური გემოვნება, პოეტური და მხატვრული შესაძლებლობები, წარმოსახვითი აზროვნება, მოსმენის უნარი. ეს პიროვნული თვისებები ეხმარება მას სასწავლო მასალის ათვისებაში, თვითრეალიზებასა და თვითშეფასების ამალღებაში. გარდა ამისა, მუსიკა დადებით გავლენას ახდენს ბავშვის ხასიათზე, მის ქმედებებზე.

მუსიკალური ხელოვნების სფეროდან მოსწავლეებს ინფორმაცია უნდა მიეწოდებოდეთ ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური განვითარების თავისებურებების გათვალისწინებით. შესაძლებელია ყველა ბავშვის ინდივიდუალურად გათვალისწინებაც. ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზაა დიფერენცირებული სწავლება, რომელიც ასევე ხელს უწყობს ახალ სასწავლო პირობებთან ადაპტაციის პროცესს.

ბევრი მეცნიერი მიდის დასკვნამდე, რომ დიფერენცირებული სწავლება მნიშვნელოვანია როგორც სასწავლო მასალის ასათვისებლად, ასევე მოსწავლეების განსავითარებლად.

დიფერენცირებული სწავლის არსი ის გახლავთ, რომ მოსწავლეებმა მიიღონ ფსიქოლოგიური და მეთოდოლოგიური დახმარება, რათა მიაღწიონ წარმატებას საგანმანათლებლო და შემეცნებით საქმიანობაში.

არსებობს ორი სახის დიფერენციაცია:

1. გარეგანი დიფერენციაცია;
2. შინაგანი დიფერენციაცია.

**გარეგანი** დიფერენციაციის საფუძველია მოსწავლეების შემეცნებითი ინტერესების, მათი შესაძლებლობების გათვალისწინება კონკრეტული ტიპის საქმიანობისთვის.

**შიდა** დიფერენციაცია ეფუძნება მოსწავლეების მახასიათებლების გათვალისწინებას, რაც გავლენას ახდენს სასწავლო მასალის დაუფლების ეფექტურობაზე, ესენია:

- სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები (სქესი, ასაკი, ეროვნება, ოჯახი);
- სოციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლები (მოთხოვნილებები, მოტივები, დამოკიდებულებები, გაგების დონეები);

- ინდივიდუალური პიროვნული თვისებები (აღქმა, მეხსიერება, ყურადღება, მსოფლმხედველობა, ზოგადი განვითარების დონეები);
- ეგზისტენციალურ-პიროვნული თვისებები (ჯანმრთელობის შემანარჩუნებელი ან დამაზიანებელი მდგომარეობები);
- ბიოენერგეტიკული თვისებები (დაბალი, მაღალი ენერჯია).

ცხოვრების მზარდი მოთხოვნების ფონზე სკოლაში ათვისებული ცოდნის მოცულობა და შინაარსი იზრდება და რთულდება. რაც უფრო ხელშესახებია ეს პროცესი, მით უფრო მკაფიოდ ვლინდება ინდივიდუალური განსხვავებები სწავლის უნარში. დიფერენცირებული სწავლების საფუძველია თითოეული მოსწავლის მომზადებისა და განვითარების დონის განსაზღვრა, მისი ინდივიდუალური მახასიათებლების შესწავლა.

პროგრამული საგანმანათლებლო მასალის დასაუფლებლად სხვადასხვა მოსწავლეს სჭირდება განსხვავებული დრო, განსხვავებული ფორმა. დიფერენცირებული მიდგომა გულისხმობს ამ განსხვავებების გათვალისწინებას.

ინდივიდუალური დიფერენცირებული სწავლების მიზანია, საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება ინდივიდის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით.

დიფერენცირებული სწავლებისას მასწავლებლის ამოცანაა, შეისწავლოს მოსწავლეთა სწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები (ყურადღების, აზროვნების, მეხსიერების განვითარების დონე და ა.შ.), დაადგინოს მათი ცოდნისა და უნარების დონე კონკრეტულ საგანში. შედეგად შესაძლებელი ხდება შემდგომი ინდივიდუალიზაციის განხორციელება.

დიფერენცირებული მიდგომის განხორციელებისას მასწავლებელი უნდა ხელმძღვანელობდეს შემდეგი მოთხოვნებით:

- მოსწავლეებისთვის ხელსაყრელი ატმოსფეროს შექმნა;
- აქტიური კომუნიკაცია მოსწავლეებთან, რათა სასწავლო პროცესი იყოს მოტივირებული; მოსწავლეს ჰქონდეს წარმოდგენა იმის შესახებ, რას მოელიან მისგან.

პრაქტიკაში შინაგანი დიფერენციაციის გზით ვცდილობ, განვაავითარო მოსწავლეთა შემოქმედებით შესაძლებლობები, ცოდნა და უნარები. მუსიკის გაკვეთილთან

მეოთხეკლასელთა ადაპტაცია უმტკივნეულოდ მიმდინარეობს, რადგან მათთვის ყველაფერი ნაცნობი და გასაგებია. თუმცა, მასალა რთულდება და ჩნდება ახალი ამოცანები. როცა კარგად ვიცი ბავშვების ინდივიდუალური მახასიათებლები, ვცდილობ, გამოვიყენო დიფერენცირებული მიდგომა.

მუსიკის გაკვეთილზე მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მუსიკალური წიგნიერების უკეთ გააზრებასა და ათვისებას, უნდა შეინარჩუნოს მოსწავლეთა ინტერესი გაკვეთილის ბოლომდე, განუვითაროს მოსწავლეებს სერიოზული დამოკიდებულება მუსიკალური ენის საფუძვლების შესწავლისადმი.

ჩემი საქმიანობა მიზნად ისახავს, რომ მოსწავლეებმა ემოციურად აღიქვან პროგრამით გათვალისწინებული მუსიკალური ნაწარმოებები. ბავშვები სწავლობენ მუსიკაში „ჩაღრმავებას“, აღიქვამენ ბგერის სილამაზეს, რაც კარგი საფუძველია მათი მხატვრული გემოვნების ჩამოსაყალიბებლად.

დაწყებითი საფეხურზე მუსიკის გაკვეთილებზე ვცდილობ, მოსწავლეს გავუძღვიო ემოცია მუსიკის მშვენიერების მიმართ. მუსიკის აღქმა შესაძლებელია გარკვეული მუსიკალური შესაძლებლობების (მუსიკალური სმენა, ორიენტირებული ყურადღება, ჩამოყალიბებული მუსიკალური იდეები და მუსიკალური მეხსიერება) განვითარების შედეგად. გაკვეთილზე მუდმივად უნდა ჟღერდეს მუსიკა, რათა მან ბავშვებში აღძრას ემოციები, ჰუმანური გრძნობები.

მუსიკის გაკვეთილი არის ერთიანი საგანმანათლებლო და შემოქმედებითი პროცესი. გაკვეთილის მომზადებისას ვფიქრობ იმაზე, თუ როგორ განვავითარო ბავშვებში მუსიკალური შესაძლებლობები და უნარები, მოსწავლეთა განვითარების ინდივიდუალური ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური დონის გათვალისწინებით. მუსიკალური განათლება სკოლაში გულისხმობს სკოლის მოსწავლეების არა მხოლოდ ინტელექტუალური, არამედ მუსიკალური შესაძლებლობების (ვოკალური და საგუნდო, რიტმის გრძნობა, ტემპი, ტემბრი, მელოდიური და ჰარმონიული სმენა, შესრულების უნარები) განვითარებას. ეს ამოცანები შეესაბამება მუშაობის გარკვეულ ფორმებს. მუსიკალური აღქმის განვითარება ჩემს გაკვეთილებზე ხორციელდება მუსიკის მოსმენით. ეს ფორმა ხელს უწყობს მუსიკალურ-სმენითი დიაპაზონის გაფართოებას, გარკვეული

მუსიკალურ-სმენითი აღქმის, გემოვნებისა და შეფასებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

აქ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემს სიტყვიერ ახსნა-განმარტებებს და ინდივიდუალურ საუბრებს მოსწავლეებთან. ბავშვებს ვეხმარები ნაწარმოების ამოცნობაში, ვესაუბრები მის პოზიტიურ გავლენაზე; ვასწავლი, გამოხატონ დამოკიდებულება იმ მუსიკის მიმართ, რომელსაც უსმენენ. მოსმენილი მელოდიიდან მიღებული შთაბეჭდილებების ნახატებად ქცევას ან განწყობის მუსიკალურად გადმოცემას შეუძლია მუსიკალური აღქმის გაღრმავება. იმისთვის, რომ ბავშვებს გავუადვილო იმპროვიზაცია, მე თვითონ ვაჩვენებ პირველ მარტივ მოძრაობებს, რომლებიც შესაბამისობაშია ამ მუსიკასთან. ბავშვებს უყვართ მუსიკაზე მოძრაობა და კარგად ამახსოვრდებათ ის მუსიკა, რომელიც მოძრაობასთან ასოცირდება.

მუსიკა, როგორც მოგეხსენებათ, ყველაზე მძლავრი იარაღია, რომელიც პირდაპირ და უშუალო გავლენას ადამიანის ფსიქიკაზე. შემთხვევითი არ არის, რომ მრავალ ქვეყანაში მუსიკალური თერაპია წარმატებით გამოიყენება ნერვული და ფსიქიკური დაავადებების სამკურნალოდ. ამასთან დაკავშირებით, კლასს ვაცნობ მუსიკალურ მოძრაობას და მუსიკალურ თამაშებს, რომლებიც სასარგებლო გავლენას ახდენს მოსწავლეების ფსიქიკაზე. დაწყებითი სკოლისთვის შემოთავაზებულია თითების თამაშები, რომლებიც ხელს უწყობენ მეტყველების, აზროვნების განვითარებას, (მაგალითად, „ბავშვთა ორკესტრი“).

მასწავლებელმა კარგად უნდა იცოდეს თითოეული მოსწავლის მუსიკალური განვითარების შესაძლებლობები. სიმღერაზე მუშაობისას დავდივარ მერხებს შორის, ყურადღებით ვუსმენ მოსწავლეების სიმღერას, არაზუსტი და ასევე ზუსტი ინტონაციის ბგერებს. მოთმინებაა საჭირო, სანამ არასაკმარისად განვითარებული მუსიკალური სმენის მქონე მოსწავლეები თანდათან სწორად მღერას ისწავლიან.

მოსწავლეთა მუსიკალური სმენის განვითარების დონის მიხედვით კლასი შეიძლება დაიყოს ინტონაციურ ჯგუფებად:

I-ელ ჯგუფში არიან მოსწავლეები, რომლებსაც შეუძლიათ სიმღერის შესრულება მუსიკალური ინსტრუმენტის გარეშე.

II ჯგუფის წევრები სწორად მღერიან, მაგრამ მუსიკალური ინსტრუმენტის ან მასწავლებლის დახმარებით.

III ჯგუფი შედგება ისეთი ბავშვებისგან, რომლებსაც სიმღერაში მხოლოდ გარკვეული ფრაზის შესრულება შეუძლიათ.

IV ჯგუფის წევრები სწორად იღებენ ცალკეულ ბგერებს.

V ჯგუფის წევრებს არ შეუძლიათ სიმღერის დროს სუფთა ნოტების აღება.

I და II ჯგუფები მღერიან სიმღერას თავიდან ბოლომდე, III და IV ჯგუფები სიმღერაში შედიან გარკვეული მუსიკალური ფრაზის ან ბგერის აღებისას. V ჯგუფი მიჰყვება მუშაობის პროცესს, აღნიშნავს სიმღერის რიტმულ ნიმუშს.

მუშაობის შედეგების შესაბამისად მოსწავლეები ერთი ჯგუფიდან მეორეში გადაგვყავს (5-დან 4-ში, 3-დან 2-ში). ჯგუფიდან ჯგუფში გადასვლა მოსწავლეებისთვის არის სტიმული.

ვოკალური და საგუნდო მუშაობის დროს ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეებისადმი ინდივიდუალურად დიფერენცირებული მიდგომა. სიმღერის პროცესში მიზანშეწონილია თითოეული მოსწავლისთვის დახმარების დიფერენცირება. მასწავლებელმა უფრო ხშირად უნდა აჩვენოს სწორი არტიკულაცია, ხმის ფორმირება და სიმღერა. ყოველთვის საჭიროა თითოეული მოსწავლის სწორი ინტონაციის მონიტორინგი, უზუსტობებზე რეაგირება, ცალკეული მოსწავლეების ხმის უფრო ხშირად მოსმენა და ხარვეზების გამოსწორება.

მუსიკალურად ნიჭიერი ბავშვები არანაკლებ ყურადღებას საჭიროებენ. მათ უნდა მივცეთ საშუალება დაიმკვიდრონ თავი, როგორც სოლისტებმა, შეეცადონ იმპროვიზაციას, იმღერონ ანსამბლებში, რადგან მუსიკის შესწავლა არის შემოქმედება. ნიჭიერი მოსწავლეები უნდა ჩაერთონ აქტიურ საშემსრულებლო აქტივობებში და ჩაერთონ კლასგარეშე აქტივობებში.

### **დიფერენცირების მაგალითი**

**თემა:** "ვოკალური და ინსტრუმენტული მუსიკის წარმოსახვის სამყარო".

ჯორჯ გერშვინის შემოქმედების გაცნობა.

### **დონის განსაზღვრა:**

1. ინფორმაციის გაცნობა.
2. მუსიკალურ ლექსიკონში ცნებების ჩაწერა.
3. გამოტოვებული სიტყვების შევსება:
  - ჯ. გერშვინი - მსოფლიოში ცნობილი.....

- ჯ. გერშვინი წერდა მუსიკას ჟანრებში....
- ჯ. გერშვინის შემოქმედების მწვერვალი იყო ოპერა....

### უნარების დონე

1. ინფორმაციის გაცნობა
2. საკვანძო სიტყვების ამოწერა.
3. კითხვების შედგენა

### შემოქმედებითი დონე

1. ინფორმაციის გაცნობა
2. მოცემული სიტყვებიდან წერილობით გადმოცემა:

ავტორის ღრმა თანაგრძნობა... ბოროტებისა და სისასტიკის უარყოფა... „თითოეული თემის ჟღერადობაში... ადამიანის მწუხარება და... ადამიანურ ურთიერთობებში“... ოპერა „პორგი და ბესი“-იგრძნობა...

(„ოპერის „პორგი და ბესი“ თითოეული თემის ჟღერადობაში იგრძნობა ავტორის ღრმა თანაგრძნობა ადამიანური მწუხარებისადმი და ადამიანთა ურთიერთობებში ბოროტებისა და სისასტიკის უარყოფა“.)

3. საოპერო სქემის შედგენა ჯ.გერშვინის შემოქმედებაზე დაყრდნობით.

- ჯორჯ გერშვინი
- ამერიკული ცხოვრების სურათები
- აფრო-ამერიკული ფოლკლორი
- კომპოზიტორი
- "პორგი და ბესი"
- საესტრადო მუსიკა,
- პიანისტი
- ჰიტები!!!
- „იავნანა“

ამ ამოცანების შესასრულებლად მაქსიმუმ 10 წუთია გამოყოფილი. მუშაობისას აუცილებელია გავითვალისწინოთ მოსწავლეების მუშაობის განსხვავებული ტემპი. შედარებით ნელი და სუსტი სუნარის მქონე მოსწავლეებმა შეიძლება ვერ მოასწრონ

სამუშაოს შესრულება. აქედან გამომდინარე, ამოცანები შეიძლება დიფერენცირებულად იყოს გამოყენებული ინფორმაციის მოცულობის მიხედვით. ინფორმაციის დამოუკიდებელად ძიების შემდეგ, იმართება ფრონტალური საუბარი შესწავლილ მასალაზე და მიღწეულის კოლექტიური შემოწმება.

გაკვეთილების დიფერენცირების მახასიათებელია ის, რომ ჯგუფებად დაყოფა არ არის მუდმივი. მოსწავლეებმა არ უნდა იცოდნენ, ვინ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება. ეს ხელს უწყობს ურთიერთდახმარებისა და კრეატიულობის ატმოსფეროს ჩამოყალიბებას. მუსიკის გაკვეთილებზე აქტუალური ხდება კრეატიულობის დონის მიხედვით დიფერენციაცია. ასეთი მეთოდი ითვალისწინებს განსხვავებებს მოსწავლეების შემეცნებით საქმიანობაში, რომელიც შეიძლება იყოს პროდუქტიული (შემოქმედებითი). პროდუქტიული ამოცანები მოიცავს არასტანდარტულს. მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ ცოდნა შეცვლილ ან უცნობ სიტუაციაში, შეასრულონ უფრო რთული გონებრივი მოქმედებები და შექმნან ახალი „პროდუქტი“.

მუსიკის გაკვეთილებზე შესაძლებელია გამოვიყენოთ მრავალი შემოქმედებითი დავალება გაკვეთილის სხვადასხვა ეტაპზე:

- შეადგინონ კომპოზიტორის ანკეტა.
- შექმნან აფიშა მუსიკალური ნაწარმოებისთვის.
- დაწერონ გაზეთისთვის მიმოხილვა მუსიკის შესახებ.
- გაუკეთონ სიმღერას რეკლამა.
- შეადგინონ მუსიკალური ნაწარმოების გამოცანები ან რებუსები.
- გამოიგონონ და წარადინონ პლასტიკური მოძრაობები მუსიკის თანხლებით.
- შეადგინონ მუსიკალური ფრაგმენტის რიტმული აკომპანიმენტი.

გაკვეთილებზე მასწავლებელს შეუძლია უკეთესი ადაპტაციისთვის შექმნას წარმატების სიტუაციები სპეციალურად იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც სხვა გაკვეთილებზე წარუმატებლები არიან, ზეგავლენა მოახდინოს რთულ მოზარდთა როგორც გრძნობებზე, ასევე მათ ქცევაზე.

მუსიკის გაკვეთილებზე სწავლების ინდივიდუალიზაცია და დიფერენცირება საშუალებას აძლევს თითოეულ მოსწავლეს, გააცნობიეროს საკუთარი თავი, ხოლო



მასწავლებელმა მოიძიოს მასალის უმრავლესობისთვის გადაცემის გზები, წახალისოს მოზარდები. ინდივიდუალური და დიფერენცირებული მიდგომის განხორციელება საშუალებას გვაძლევს თვალ-ყური ვადევნოთ მოსწავლეების განვითარების დინამიკას. მოსწავლეთა მიღწევების შესაბამისად მასწავლებელი, პერსონალურად, ყველა მოსწავლისთვის ადგენს სწავლების ინდივიდუალურ გეგმას.

სწავლებისადმი დიფერენცირებული მიდგომა სტიმულს აძლევს დაბალი შედეგის მქონე მოსწავლეებს, ეხმარება მათ ცოდნის ხარვეზებისა და შემეცნებითი შესაძლებლობების უფრო ფართოდ დანახვაში. შედეგად ისინი მუდმივად ინარჩუნებენ საგნის მიმართ ინტერესს.

მუსიკის გაკვეთილებზე სწავლების დიფერენცირებული მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლეებს სასწავლო აქტივობების წარმატებით განხორციელებაში. ამ აქტივობის შემდეგ, მოსწავლეები თავად იწყებენ შედეგების გაუმჯობესებას, რაც აისახება მათი მათი ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარებაზეც.

ამრიგად, მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობისა და დამოუკიდებლობის წარმატებული განვითარება შესაძლებელია საგანმანათლებლო პროცესის, როგორც თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საქმიანობის ორგანიზებისას, მათი შესაძლებლობებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით. სწავლების დიფერენციაცია და ინდივიდუალიზაცია ხელს უწყობს სწავლების სხვადასხვა დონის მოსწავლეებისთვის ოპტიმალური მიდგომის პოვნას. მუსიკის გაკვეთილებზე დიფერენცირებული სწავლების ტექნოლოგია დადებითად მოქმედებს მოსწავლეთა მუსიკისადმი დამოკიდებულებაზე, ავითარებს მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და ასტიმულირებს შემოქმედებით საქმიანობას.

#### **გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:**

- მარიანა ხუნძაყიშვილი სარა ბივერი. განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება; თეა შილაძე. დიფერენცირებული მიდგომები სწავლებაში;
- ნანა ლომაძე. სასწავლო მენიუ – დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტი;
- გზამკვლევი – პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის;
- ელექტრონული ჟურნალი „მასწავლებელი“;
- ი.ე. უნტი. განათლების ინდივიდუალიზაცია და დიფერენციაცია – მ. პედაგოგიკა, 1990 წ.;
- ჯონ ბინი და ამალია ოლდფილდი „ჯადოსნური სალამური“, 2000 წ.;

[https://tspace.library.utoronto.ca/bitstream/1807/97582/1/Raponi\\_Susan\\_E\\_201911\\_PhD\\_thesis.pdf](https://tspace.library.utoronto.ca/bitstream/1807/97582/1/Raponi_Susan_E_201911_PhD_thesis.pdf)  
[http://psasir.upm.edu.my/id/eprint/94310/1/Music%20in%20Film\\_%20for%20gifted%20students\\_the%20effect%20of%20differentiated%20learning.pdf](http://psasir.upm.edu.my/id/eprint/94310/1/Music%20in%20Film_%20for%20gifted%20students_the%20effect%20of%20differentiated%20learning.pdf)  
<https://resilienteducator.com/classroom-resources/examples-of-differentiated-instruction/>

**Dali Dolidze**  
Ilia State University

## **Differentiated Approach as the Means of Developing Cognitive Skills at a Music's Lesson**

### **Abstract**

Modern standards are widely aimed at the humanization of education and the individualization of teaching, which contributes to the development of a student. Differentiated teaching approaches are an effective way to fulfill this requirement. We often use similar approaches in practice. For example, when we plan a lesson, we try to answer the question: how to achieve that a student does not just memorize a certain amount of information, but learns regardless of what means and what potential he has.

Individualization and differentiation of teaching in music lessons enable each student to understand themselves and the teacher to find ways of transferring the teaching material to the majority and to encourage students.

Advantages of differentiated teaching: difficulties are easily overcome; no students are falling behind in the class; All students are involved in the learning process; Personal qualities are actively formed; independence, diligence, self-confidence, creativity, motivation, and curiosity increase; the content is actively being processed; students prepare in advance for such work; the process is easy to monitor.

A differentiated approach encourages low-achieving students by helping them see their knowledge gaps and learning abilities more broadly. As a result, they constantly maintain an interest in the subject.

**Keywords:** Education, music, differentiated approach, learning process, methods, individual approach.